

საკონკურსო საპროექტო წინადადებისადმი წარდგენილი მოთხოვნები:

1. კონკურსში მონაწილეობს მაღალი სამეცნიერო ღირებულებისა და აქტუალობის მქონე საპროექტო წინადადების წარმომდგენი ავტორი ან მკვლევართა ჯგუფი;
2. პროექტს უნდა ჰყავდეს პროექტის მეცნიერ-ხელმძღვანელი და პროექტის მენეჯერი (რომელიც შესაძლოა იყოს ერთი და იგივე პიროვნება). ეს პუნქტი არ ვრცელდება ინდივიდუალურ სამეცნიერო გრანტზე;
3. სასურველია პროექტში დასაქმებული იქნას სტუდენტი (მათ შორის მაგისტრი, დოქტორანტი);
4. პიროვნებას შეუძლია მონაწილეობის მიღება მხოლოდ ერთ საკონკურსო ნომინაციაში;
5. სტუ-ს წინა წლის ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტის მონაწილეებს არა აქვთ უფლება საკონკურსო განხილვაში მონაწილეობისა;
6. კონკურსში გამარჯვებული პროექტის ფუნქციონირება სრულდება 2010 წლის 31 დეკემბერს;
7. საპროექტო წინადადების დამწერგავმა საწარმომ, პროექტის დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში, უნდა დაიწყოს სტუ-ს ადმინისტრაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაბრუნება;
8. საკონკურსო კომისიაში საპროექტო წინადადების დოკუმენტაციას (ნაბეჭდი და ელექტრონული სახით) წარადგენს პროექტის პასუხისმგებელი პირი (მეცნიერ-ხელმძღვანელი, მენეჯერი ან სხვა უფლებამოსილი პირი);
9. პროექტის მენეჯერი ვალდებულია მოთხოვნისთანავე წარმოადგინოს პროექტის მიმდინარეობის შესახებ ანგარიში, ხოლო საჭიროებისამებრ, ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტი.
10. პროექტის დასრულების შემდეგ წარმოდგენილი უნდა იქნეს დასკვნითი სამეცნიერო ანგარიში;
11. კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, მონიტორინგი განახორციელოს ნებისმიერ დროს;
12. პროექტის დახურვა ხდება შემსრულებლის სამეცნიერო ანგარიშის, აგრეთვე მონიტორინგის შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე.